# THE PARADIGM OF THE FATHER/ "SVETI-TSKHOVELI" IN THE TEXTS OF GEORGIAN ECCLESIASTICAL LITERATURE AND POST-MODERNISM

***(NIKOLOZ GULABERISDZE, ZAIRA ARSENISHVILI)***

## მამის/„სუეტი-ცხოვლის" პარადიგმა სასულიერო და პოსტმოდერნისტულ ტექსტ(ებ)ში

*(ნიკოლოზ გულაბერისძე, ზაირა არსენიშვილი)*

**Nana Kutsia**
Ph Doctor in Philology,
Associate professor of Sokhumi State University,
Tbilisi, Politkovskaya St., 26, 0186, Georgia,
+99577 453 616, nkucia68@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-4057-7536

**Miranda Todua**
Ph Doctor in Philology,
Associate Professor of Sokhumi State University,
Tbilisi, Politkovskaya st., 26, 0186, Georgia,
+99558 331 991, mirandatodua@mail.ru
https://orcid.org/0009-0007-2920-9464

**Abstract.** An outstanding Georgian scholar, literary critic Revaz Tvaradze, studying Georgian literary process, used phrase-construction "fifteen-centyries unity" underlining devotion of the Georgian writers to national ideals in different epochs and different historical and political situations.

In the twenties of the 21st century we`ll try to analyse the meaning of the paradigm of the Father/"Sveti-Tskhoveli" (main Georgian cathedral/"The Light Pillar") in the texts of different epochs – 12-13th and 20-21st centuries. The paradigm of the Father/Old Day is reflection of the First Person of Christian Trinity.

We`ll analyse the following texts:

1. Nikoloz Gulaberisdze (12-13th century), "Sveti-Tskhoveli Reading",
2. Zaira Arsenishvili (20-21st century), "Requiem".

Invariability of the Father paradigm is very important, we`ll try to study the meaning of a symbol in the texts of the Middle Ages and Post-Modernism.

The presented article is a part of a complex study process of Georgian ecclesiastical/spiritual and post-modernism literary heritage. We have discussed the paradigm of the Father/"The Old Day" from the Biblical-religious perspective.

**Key Words:** Ecclesiastical Literature, Post-Modernism, "Sveti-Tskhoveli", Father, Paradigm.

**ნანა კუცია**
ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26, 0186, საქართველო,
+99577453616, nkucia68@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-4057-7536

**მირანდა თოდუა**
ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26, 0186, საქართველო,
+99558 331 991, mirandatodua@mail.ru
https:// orcid.org/0009-0007-2920-9464

**აბსტრაქტი.** ქართულ ლიტერატურას (ზოგადად, ქართულ ლიტერატურულ პროცესს) ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე რევაზ თვარაძე იხსენიებდა ფრაზა-კონსტრუქციით „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“, გულისხმობდა რა მწერლობის მაგისტრალური ხაზის - ეროვნული იდეალების ერთგულებას განსხვავებულ ეპოქებში, განსხვავებულ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში.

ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში „თექვსმეტსაუკუნოვანი მთლიანობის“ კონტექსტში შევეცდებით გავიაზროთ ორი განსხვავებული ეპოქის - მეთორმეტე-მეცამეტე და მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნის ავტორთა ტექსტებში არეკლილი მთავარი ქართული ტაძრის/კათედრალის ისტორიასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი *პარადიგმა - მამა, სამების პირველი ჰიპოსტასის* მხატვრული ანარეკლი.

დავეყრდნობით „გიორგი მესამის (და, ალბათ, თამარის) კათალიკოსის“ (სირაძე, 1992: 109), *ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებას „საკითხავი სუეტისა-ცხოველისაი“ და პოსტმოდერნისტი ავტორის - ზაირა არსენიშვილის რომან „რეკვიემის“ პასაჟებს.*

ვფიქრობთ, საგულისხმოა პარადიგმის უცვლელობა ეპოქალურად დიდად დაშორიშორებულ ნაწარმოებებში. წინამდებარე წერილში, რომელიც წარმოადგენს ქართული მწერლობის კომპლექსური შესწავლის ცდას, პარადიგმა „მამის“/„ძველი დღის“/„სუეტი-ცხოველის“ აღქმის რაკურსს დავაკვირდებით სასულიერო და პოსტმოდერნისტულ ტექსტებში.

**საკვანძო სიტყვები:** სასულიერო მწერლობა, პოსტმოდერნიზმი, სვეტიცხოველი, პარადიგმა.

**შესავალი.** წერილში საქართველოს ისტორიის ორ უაღრესად მნიშვნელოვან ეპოქაზე გავამახვილებთ ყურადღებას - პირველია ეპოქა გიორგი მესამისა/თამარისა, საქართველოს ისტორიის *ოქროს ხანა,* მეორე კი - ეპოქა ბოლშევიზმისა, საბჭოთა იმპერიაში „ჩაშენებული“ ქვეყნის ამბავი, როდესაც რელიგია *ბანგად* ცხადდება, ქრისტიანული ტაძრები იხურება ან ინგრევა.

სვეტიცხოველი ის ტაძარია, რომელიც ყველა ეპოქაში (ბედნიერსა თუ ტრაგიკულში) ერის სულიერების პარადიგმად რჩება.

გიორგი მესამისდროინდელი/თამარისდროინდელი ავტორი, ნიკოლოზ გულაბერისძე სასულიერო ტექსტში მსჯელობს ქართველთა უპირველესი ტაძრის არსზე, მის პარადიგმულ მნიშვნელობაზე, მთხრობელი თავადვეა ე.წ. *ყოვლისმცოდნე ავტორი (პოსტმოდერნიზმის ნარატოლოგიური კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ),* პოსტმოდერნის ხანის მწერალი კი, ზაირა არსენიშვილი, *პერსონაჟთა მზერის რაკურსით* წარმოაჩენს მთავარი კათედრალის და მასთან დაკავშირებული საწმინდარების წარუვალ მნიშვნელობას.

აუცილებელია, გავიაზროთ ეპოქათა აბსოლუტურად განსხვავებული სულიერი არსი - პირველ ტექსტში სივრცე თეისტურია, მეორეში - ათეისტური, გულაბერისძის საქართველო მორწმუნეა, არსენიშვილის საქართველოში სარწმუნოებას ერთეულნი ერთგულებენ.

გრიგოლ რობაქიძის რომანის, „ჩაკლული სულის“ რეცენზირებისას რუსი მკვლევარი, ეფიმ კურგანოვი აღნიშნავდა, რომ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში *(რომელთაც ტექსტში აღწერს ქართველი მოდერნისტი - ნ.კ., მ., თ.)* ცივილიზაცია კრიზისშია - პიროვნებისაგან განიდევნება სწორედ ის, რის გარეშეც არსებობა უსაზრისოა. რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიაში კრიზისი განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიხატა, სწორედ საბჭოეთში განხორციელდა *«У б и е н и е д у ш и, то есть, божественного в человеке. Отказ от духовных ценностей, вырабатывавшихся веками, от национальных традиций, разрушает личность, обнажает звериные инстинкты, дает дорогу дочеловеческому, ведет к гибели, вырождению... Возвращение к Богу неминуемо»* (Курганов, 1989: 158) - *მოკვდინება სულისა, ანუ ღვთაებრივისა ადამიანში, უგულებელყოფა საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ სულიერ ფასეულობათა, ეროვნულ ტრადიციათა, ანგრევს პიროვნებას, აშიშვლებს ცხოველურ ინსტინქტებს, გზას აძლევს ადამიანობამდელს, მივყავართ დაღუპვისაკენ, გადაგვარებისაკენ.... უფალთან დაბრუნება გარდუვალია (თარგმანი ჩვენია - ნ.კ., მ. თ.).*

**მეთოდები.** კვლევისას გამოვიყენებთ *ისტორიულ-შედარებით* (ეპოქათა ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გასააზრებლად), კომპარატივისტულ-*ჰერმენევტიკულ* (პარადიგმის გასაანალიზებლად), ასევე - *ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს.*

**შედეგები და მსჯელობა.** ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება „საკითხავი სუეტისა- ცხოველისაი“ გამოწვლილვითაა შესწავლილი რევაზ სირაძის მონოგრაფიაში „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“. მონუმენტური კვლევის პირველ წიგნში, წერილში „სიმბოლოები სვეტი-ცხოვლისა“ *(სიტყვა დეფისითაა წარმოდგენილი- ნ.კ., მ.თ.)* მეცნიერი საგანგებოდ მსჯელობს სვეტიცხოვლის განსაკუთრებულ ფუნქციაზე, მიიჩნევს ქართული ქრისტიანული აზროვნების, ქართული სახისმეტყველების არსობრივ საფუძვლად, რუსთველის ეპოქის უმნიშვნელოვანეს სასულიერო თხზულებად, ქართველთა სულიერი ცხოვრების განსაკუთრებულ გამოვლინებად.

მკვლევარს მოჰყავს ციტატა ბასილი ეზოისმოძღვრის თხზულებიდან „ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისა“, რომელშიც მემატიანე ნიკოლოზს ანგელოზს ადარებს.

გულაბერისძის ინტენციად სირაძე აცხადებს აღწერას სამი უმთავრესი სიწმინდისა - თავად ცხოველი სვეტისა, უფლის კვართისა და სვეტიცხოვლის ტაძრისა.

„საკითხავი“ 1-ლი (14) ოქტომბრისაა და სვეტიცხოვლობას ეძღვნება. წმინდა ნინომ უფლის ძალით („ღვთის მკლავით“) აღმართა სვეტი და, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სწორედ ეს კონტექსტი მოიაზრება ჩრდილო ფასადზე წარმოდგენილ გონიოიან მარჯვენაში.

რევაზ სირაძე სვეტიცხოვლის ტაძარს სულიერი სვეტიცხოვლის (ზეციური ეკლესიის) გასაგნებულ სახედ მიიჩნევს და თვლის, რომ დაწერილობითაც/ტრანსლიტერაციითაც უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან „სვეტი-ცხოველი“ (ღვთაებრივი ნათლის სვეტი) და „სვეტიცხოველი“ (ტაძარი).

ესეში ვკითხულობთ, რომ, გულაბერისძის კონცეპტით, სვეტი-ცხოველი/ნათლის სვეტი, გამოხატავს *ძველ დღეს ანუ მამა ღმერთს, სვეტიცხოვლის სახეა მოხუცი კაცი.* ლიტერატურათმცოდნეს მოჰყავს ციტატა საბინინისეული „საქართველოს სამოთხიდან“, „ქადაგსა მას ღამესა *ეჩუენა სუეტი-ცხოველი ს ა ხ ე დ მოხუცებულისა ბერისა კაცისაო“* და ციტატის განაზრებას გვთავაზობს: *„მისტიკური ხილვა გულისხმობს ლიტურგიკულ ცნობიერებას, მოხუცებული სვეტიცხოველზე ამბობს, ჩ ე მ ი საყდარიაო... მეფე დავითიც იხილავს მოხუცებულსა ვინმეს სახედ ძველისა დღეთასა“* (სირაძე, 1992: 111).

ამავე სახით (ზოგადად, ბიბლიური სახისმეტყველებით) ინსპირირებულად მიაჩნია მკვლევარს ილიას აჩრდილი, მოჰყავს არეოპაგიტული განაზრებაც: ღვთაება „ს ი ბ ე რ ი თ ა პირველითგამობასა და დაუწყებელობასა მოასწავებს, ხოლო ს ი ჭ ა ბ უ კ ი თ ა დ ა უ ბ ე რ ე ბ ე ლ ო ბ ა ს ა“ (სირაძე, 1992: 113), გურამიშვილის ციტატაც: „ვირემდის განახლდებოდა ძ ვ ე ლ ი დ ღ ე, ღამე მზიანი, იფქლი კალოზედ ეყარა, განურჩეველი, ბზიანი...“ *(გურამიშვილი, 1983: 203).*

დასკვნის სახით, მკვლევარი აღნიშნავს, რომ გულაბერისძის „საკითხავში“ სვეტიცხოველი განასახოვნებს ერთარსება სამებას, ზოგადად, და კონკრეტულად - მამა ღმერთს, მისი სიმბოლო მოხუცის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, მასშივე განსახოვნდება *ძველი დღე,* რომელიც განახლდება *ახალ დღეში* - ქრისტეში (მზიან ღამეში) (სირაძე, 1992: 113).

ზაირა არსენიშვილის რომანის, „რეკვიემის“ კონცეპტუალური პერსონაჟი - უნიჭიერესი მუსიკოსი, კომპოზიტორი ეჟი ხადაროვსკი 1937 წელს ჩეკას ჯურღმულში იღუპება - თავს იკლავს, შეუფიცრავი აივნიდან გადმოხტება.

ტრაგიკული პასაჟი მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს - ფრენისა. *ჯოჯოხეთური სამოთხის შენების* ეპოქაში გალაკტიონი წერდა, *„ფრთები, ფრთები გინდა, .... გინდა დაეუფლო სივრცეს...“* (ტაბიძე, 1989: 68). ციტატა მიმართვაა ნიკორწმინდის დიდებული ტაძრისადმი. ზაირა არსენიშვილის რომანში ფრენის, თავისუფლების განცდას აჩენს *ბაგრატის ტაძარი* (ქუთაისში გატარებული ბავშვობა ეჟისა) და სვეტიცხოველი.

სვეტიცხოვლის საკრალურ სივრცეში აღიწერება ეჟის მუსიკალური ნიჭიერების გვირგვინის - „რეკვიემის“ ძალმოსილება - მწერალი ს ი ტ ყ ვ ი თ აღწერს მუსიკას. შთამბეჭდავია პროჟექტორის დამაბრმავებელი, დაუნდობელი შუქით დაფეთებული მერცხლების ტაძრის კამარაში თავგზააბნეული ფრენის ეპიზოდიც. მოგვაგონდება „დიდოსტატის მარჯვენას“ კონცეპტუალური ციტატაც რომანის პროლოგიდან - „ველური მტრედები ჩადიან ტაძარში“ (გამსახურდია, 1976: 13).

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუსიკოსების/ორკესტრანტების სტუმრობისას ქართველთა უპირველეს, უმთავრეს კათედრალში - სვეტიცხოველში უნიჭიერესი მუსიკოსი, კომპოზიტორი, რეჟიმს შეწირული ეჟი (რომლის დიდი პაპა, ბებიას მამა, გელათის მთავარდიაკონი ყოფილა და ტაძრის ეზოში დაუკრძალავთ) ამბობს:

*„ბავშვობიდან მაქვს გამოყოლილი - ქართულ ტაძრებსა და ეკლესიებში როცა მივდივარ, ასე მგონია, უ ძ ღ ე ბ ი შ ვ ი ლ ი ვ ი თ მიტოვებულ მ ა მ ა ს ვუბრუნდები...*

*მხოლოდ ბახის მედგარ სულს შევადარებდი სვეტიცხოვლის ამშენებლის გენიას. ეს სული ისეა გამსჭვალული რწმენით და სიყვარულით, რაღაც უქრობი მ ა მ ო ბ რ ი ო ბ ი თ, შეუძლებელია, არ დაგეუფლოს განცდა, რომ მარადიულ მ ა მ ა ს თ ა ნ მოხვედი“* (არსენიშვილი, 2021: 102).

ნანა გაფრინდაშვილის, მარიამ მირესაშვილის, ნინო წერეთლის მონოგრაფიაში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული კანონის შესახებ აღნიშნულია, რომ ბოლშევიკებს საკუთარი კოსმოგონიური მოდელი ჰქონდათ, სარწმუნოებრივ დოგმატებს უგულებელყოფდნენ, პარტიული ლიდერი იჭერდა დემიურგის ადგილს, ეპოქის ლიტერატურული კანონი მკაცრად მოითხოვდა უფლის ჩამნაცვლებელი ბელადის სახის იდეალიზება-ჰიპერბოლიზებას (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი & წერეთელი, 2010: 79) *(„თქვის უშჯულომან ცოდვასა შინა გულსა თვისსა, არა არს შიში ღმრთისაი წინაშე თუალთა მისთაო“ (ფს. 35, 1), ბოლშევიკური ბაქანალიის წინასწარმეტყველებად(აც) ვკითხულობთ ფსალმუნში* (ფსალმუნნი, 2019: 87).

მარადიულ მამასთან *უძღები შვილის* დაბრუნების ბიბლიურ პარაბოლას, ლუკას სახარების კონცეპტუალურ პასაჟს, მრავალი ხელოვანი შთაუგონებია დიადი ტექსტების შესაქმნელად (დავასახელებთ გურამ დოჩანაშვილის საკულტო რომანს „სამოსელი პირველი“, რომლის ფაბულა-სიუჟეტიც სწორედ სახარებისეული იგავითაა ინსპირირებული).

ვფიქრობთ, გამართლებულია პარალელიზება პოსტმოდერნის ეპოქაში თხზული რომანის („რეკვიემის“) ზემოთ მოყვანილი პასაჟისა და ნიკოლოზ გულაბერისძის კონცეპტუალური თხზულების „საკითხავი სუეტისა-ცხოველისაი“ ეპიზოდისა: ეჟი ხაზს უსვამს *უ ქ რ ო ბ ი მ ა მ ო ბ რ ი ო ბ ი ს* შეგრძნებას, განცდას, რომ *მ ა რ ა დ ი უ ლ მ ა მ ა ს თ ა ნ* დაბრუნდი, ხოლო გულაბერისძე აღნიშნავს, რომ სვეტიცხოველში განსახოვნდება *ძველი დღის - მ ა მ ი ს ხ ატ ე ბ ა.*

**დასკვნა.** რევაზ სირაძე სვეტიცხოვლის სიმბოლიკისადმი მიძღვნილ ესეში საგანგებოდ ამოწერს ციტატას ნიკოლოზ გულაბერისძის საკითხავიდან: „ესე სუეტი წმიდისა ნათლისა ერთ ნათლად შეერთებული სამებისა წმიდისა სახედ გამომსახველად შემოკრბების უეჭველად და სახედ ბ ე რ ი ს ა კ ა ც ი ს ა *(ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია რევაზ სირაძისეულია - ნ.კ., მ. თ.).* ხილვა ესრეთ გულისხმა ვჰყოთ, ვითარცა მოასწავებს და საცნაურ-ჰყოფს წინაისწარმეტყველი დანიელი მეორედ მოსულისათვის ძ უ ე ლ ი ს ა დ ღ ე თ ა ს ა, ვითარცა მაშინ სამებისა წმიდისა ერთ-ნათელი ძველი დღეთასა, ესევე ***აწ სამებისა წმიდისა ერთ-ნათელი ესე სუეტი ნ ა თ ლ ი ს ა ი, ვითარცა ძველი დღეთა, იხილვების და ეჩვენების მათ, რომელნიცა ღირს არიან ხილვისა მისისა*** და ესე არს ჭეშმარიტი და უეჭველი გზაი საძიებელისა, უკუეთუ არა, საყუარელნო, ***რაიმცა იყო სხვაი სუეტისა ცხოველისაი ხილვასახედ მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი ს ა?!“***(სირაძე, 1992: 113).

თუ ზაირა არსენიშვილისა და ნიკოლოზ გულაბერისძის ტექსტების ზემოაღნიშნულ პასაჟებს სწორედ ხაზგასმული პარალელიზმის პრინციპით წავიკითხავთ, შევამჩნევთ, რომ *თამარის ეპოქის მოღვაწე რ ჩ ე უ ლ ა დ მ ი ი ჩ ნ ე ვ ს მას, ვისაც ძალუძს/ვინც ღირსია/ვისაც ეღირსა/ვინც დაიმსახურა სვეტიცხოველი აღიქვას „სახედ მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი ს ა“ - მამა ღმერთის ჰიპოსტასად.*

*ეჟისეული აღქმაც სვეტიცხოვლისა - უქრობი მამობრიობის, მარადიულ მამასთან დაბრუნების* (არსენიშვილი, 2021: 102) *კონცეპტიც იდენტურია.*

მაჯინის ვიოლინოს (ეჟის ინსტრუმენტის) ღვთაებრივი ხმოვანება აპირისპირებს *მუსიკის ღვთაებრივ ლოგიკას ტოტალიტარიზმის აბსურდულ ლოგიკასთან.* ზაირა არსენიშვილის რომანში ხაზგასმულია: *„მუსიკის შესრულება ღ ვ თ ი უ რ ი ქმ ე დ ებ ა ა“* (არსენიშვილი, 2021: 103), აღლაღებული ათეიზმის ხანაში კი - „განწირულის სულის-კვეთების“ დიდებული აქტიც.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ეჟის ასაკის პედალირებაც - *ცხრამეტისა არ იყო, ორკესტრში რომ მოვიდა და ოცდაერთისა არ იყო, როცა დაიღუპაო* (არსენიშვილი, 2021: 104) - მოგვაგონდება ასაკი აბო ტფილელისა, რომელიც უმძიმეს ჟამს წარმოჩნდა „ახოვნად“ და პერსონალური მსხვერპლშეწირვით გმირობის ბრწყინვალე მაგალითი მისცა *ქართაგან ძლიერთა ლერწამივით რყეულ ქართველთ.*

*დიდი მორალური პასუხისმგებლობით აღბეჭდილ „რეკვიემს“ ეპოქალურ წყვდიადში შუქურასავით უნდა გამოებრწყინა, როგორც დესპოტიისაგან თავისუფალი, შ ე უ ვ ა ლ ი ს უ ლ ი ს ემანაციასო* (არსენიშვილი, 2021: 112), *ვკითხულობთ პოსტმოდერნისტულ რომანში.*

სინტაგმა *შეუვალი სული* მკითხველს მოაგონებს გრიგოლ რობაქიძის ზემოთ ხსენებული რომანის კონცეპტუალურ სათაურს - „ჩაკლული სული“.

მუსიკოსი *მაკედონი* 1960 წელს ახალგაზრდა მთხზველს უამბობს 1917-1937 წლების ამბებს. ბოლშევიზმის მეტასტაზებს რუსეთიდან საქართველოში გამოქცეულს, ე ვ გ ე ნ ი მ ი ქ ე ლ ა ძ ი ს მოწვევით თბილისში ჩამოსულს ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ მ ა თურმე მშობლიური ეკლესია მოაგონა, წმინდა ილია წინასწარმეტყველისა. მიქელაძე დააპატიმრეს, თეატრის დირექტორმა თავი მოიკლა. რუსეთიდან ჩამოსული ძმა უამბობდა იაროსლავლის ციხის ამბებს, ვისაც სატუსაღოში ვერ ატევდნენ, ხვრეტდნენ, ციმბირის ბანაკებიც ვერ აუდიოდნენ რეპრესირებულთა მილიონებს.

გეორგიევსკის ტრაქტატის მესაფუძვლის - ერეკლე მეორის საფლავი სვეტიცხოველშია. „რეკვიემის“ ავტორის ალტერ ეგო, ახალგაზრდა მთხზველი პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში იასამნებით შეამკობს ვახტანგ ბატონიშვილისა და დარეჯან დედოფლის საფლავებს, დაიტირებს მათ და „ჩვენს ბედშაობას“....

ბოლშევიზმი ერთნაირი ცინიზმითა და სისასტიკით უსწორდებოდა ტაძრებს/უფლის სახლებს ყველგან, იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რუსეთსა თუ საქართველოში, მაგრამ „ძველთა დღეთასა“ - უფლის ძალმოსილებას ვერანაირი „იზმი“ ვერასდროს მოერევა, ვერ აღმოფხვრის ქმნილების ლტოლვას შემოქმედისადმი - „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის- ვსცე ტაძარსა წმინდასა შენსა შიშითა შენითა“ (ფს. 5, 7) (ფსალმუნნი, 2019: 21), ნუგეშცემულის შემოქმედისავე აღთქმით - რომ კლდესა ზედა აღაშენებს თავის ეკლესიას, რომელსაც ვერასოდეს ძლევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი.

**გამოყენებული ლიტერატურა**


არსენიშვილი, ზ. (2021). *რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გამსახურდია, კ. (1976). დიდოსტატის მარჯვენა. წიგნში: *თხზულებათა ათტომეული.* ტ. 4. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ., & წერეთელი, ნ. (2010). *სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე.* წ. 1. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

გურამიშვილი, დ. (1983). *დავითიანი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

სირაძე, რ. (1992). *სიმბოლოები სვეტი-ცხოვლისა. წიგნში: ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტაბიძე, გ. (1989). ქებათა ქება ნიკორწმინდას. წიგნში: *რჩეული ლექსები ორ წიგნად.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

*ფსალმუნნი.* (2019). თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.

Курганов, Е. (1989). Возвращение мифа («Убиенная душа» Гр. Робакидзе). *Дружба народов.* № 4.

**REFERENCES**

arsenishvili, z. (2021). *rek'viemi banis, sop'ranosa da shvidi inst'rument'isatvis, anu akhalgazrda mtkhzvelis p'ort'ret'i [Requiem for Bass, Soprano and Seven Instruments or the Portrait of the Young Narrator]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

gamsakhurdia, k'. (1976). didost'at'is marjvena [The Right Hand of the Great Master]. In *tkhzulebata att'omeuli [In Works Collection in 10 volumes]*. Vol. 4. Tbilisi: Publishing House „Merani".

gaprindashvili, n., miresashvili, m., & ts'ereteli, n. (2010). *sotsialist'uri realizmis teoriuli ist'oria kartuli lit'erat'uris magalitze [Theoretical History of Socialist Realism on the Example of Georgian Literature]*. Vol. 1. Tbilisi: Publishing House „Nekeri".

guramishvili, d. (1983). *davitiani [David`s Book]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

siradze, r. (1992). simboloebi svet'i-tskhovlisa [Symbols of Sveti-Tskhoveli]. In *krist'ianuli k'ult'ura da kartuli mts'erloba [Christian culture and Georgian writing]*. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

t'abidze, g. (1989). kebata keba nik'orts'mindas [Ode to Nikortsminda]. In *rcheuli leksebi or ts'ignad [Selected Verses]*. Tbilisi: Publishing House „Merani".

*psalmunni [Psalms]*. (2019). Tbilisi: Publishing House „Palitra L".

Kurganov, E. (1989). Vozvrashhenie mifa («Ubiennaja dusha» Gr. Robakidze) [Returning of Myth ("The Killed Soul/Spirit" by Grigol Robaqidze)]. *Druzhba narodov [Druzhba narodov]*. № 4.